საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №202

2019 წ. "12" 11

ქ.თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის

თავმჯდომარე

მდივანი

მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის გზით. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცენტრი აკონტროლებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულებას.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 08 მაისს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №69/01/1 (ცენტრში რეგისტრაციის №540341) სააკრედიტაციო განაცხადი „ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 28 მაისის №430 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 04 სექტემბრის №791 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 13 სექტემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 30 ოქტომბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

თავმჯდომარე

მდივანი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 12 ნოემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მაძიებელს 7 წლის ვადით უნდა მიენიჭოს აკრედიტაცია, 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის 2019 წლის 08 მაისის №69/01/1 (ცენტრში რეგისტრაციის №540341) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 12 ნოემბრის №58 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) გადაიხედოს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და პროგრამის შესაბამის დონეზე ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები (შესაძლებელია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გამოყენება). ასევე, გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა უნარს შეძლონ საერთაშორისო გარემოში

თავმჯდომარე

მდივანი

ფუნქციონირება და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს დოქტორანტებს, რათა მოამზადოს ისინი აკადემიური კარიერისთვის;

ზ) გაიწეროს პროგრამაზე მისაღები წინაპირობები უფრო მკაფიოდ, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ასევე, შეიცვალოს და დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც პროგრამის უნიკალურობის დამტკიცებას და სტანდარტით მითითებული შედეგების მიღწევას შესაძლებელს გახდის;

გ) პროგრამა დაიყოს ოთხ ბლოკად და სტუდენტებისთვის გარდა ქართული ქრისტიანული ხელოვნების ისტორიისა, შეთავაზებულ იქნეს სხვა თემა/თემები;

დ) გადაიხედოს პროგრამაზე მიღების წინაპირობები;

ე) შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგები და სილაბუსები, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" გათვალისწინებით;

ვ) გადატანილ იქნეს „სიმბოლოს მნიშვნელობა ქრისტიანულ ხელოვნებაში და მისი წინარე ქრისტიანული ტრადიციები" D12 არჩევითი სასწავლო კურსიდან სავალდებულო სასწავლო კურსების სიაში;

ზ) დაეფუძნოს სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალები დარგის უახლოეს მნიშვნლოვან მიღწევებს;

თ) დარედაქტირდეს არჩევითი (არასავალდებულო) კურსების სია, შედარებითი ანალიტიკური სწავლების მეტი კომპონენტით კურსის გაძლიერების მიზნით;

ი) დაწესდეს მკაფიო შეფასების კრიტერიუმები სემესტრული მუშაობისთვის, რომლებიც შეესაბამება დოქტორანტურის დონეს;

კ) გაუმჯობესდეს სადისერტაციო ნაშრომების წინასწარი შეფასების კრიტერიუმები;

ლ) უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევით სტაჟირებებში მონაწილეობის შესაძლებლობა;

მ) გაიზარდოს საერთაშორისო მობილობა (გაცვლითი პროგრამები და სხვ.);

ნ) უზრუნველყოფილ იქნეს სრუდენტთათვის მკვლევარებისა და შესაძლო ხელმძღვანელების უფრო დიდი არჩევანი;

ო) უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური პერსონალის აკადემიურ სფეროში აქტიურობა (სამეცნიერო ნაშრომების რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნება და ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღება);

პ) გამოყენებულ იქნეს შეფასების შედეგები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გაუმჯობესებისათვის;

ჟ) გათვალისწინებულ იქნეს შეფასების შედეგები პერსონალის დაწინაურებისა და მათი მხარდაჭერისათვის;

რ) ჩატარდეს პერსონალის კმაყოფილების შეფასება;

ს) დაინერგოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითის საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები;

თავმჯდომარე

მდივანი

ტ) გაუმჯობესდეს სწავლების ტექნიკური საფუძველი;

უ) განახლდეს საბიბლიოთეკო რესურსი.

5. მონიტორინგი განხორციელდეს 6 თვეში (2020 წლის 26 მაისს).

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს (2019 წლის 26 ნოემბერი).

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი

სხდომის მდივანი სალომე თოთიბაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ხელოვნებათმცოდნეობა
2	სტატუსი[2]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 25 ივლისი, №85
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	დოქტორანტურა
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ისტორიის და თეორიის დოქტორი (PhD in Art History and Theory)
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	„-----„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	0213
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0102, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 26 ნოემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2020 წლის 26 მაისი)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 26 ნოემბერი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი